სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები

მისია

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მისიაა, მოსწავლეებს და პროფისიულ სტუნდებტს ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს განათლებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების აღზრდას, სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებით მარტივად შეძლებენ თანამედროვე სამყაროში ადაპტირებას.

სკოლის ხედვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა. სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თავისუფალი, აქტიური თაობების აღზრდას და იგი 2030 წლისთვის იმერეთის რეგიონში იქნება ერთ-ერთი სკოლა რომელსაც ექნება მუდმივი გაცვლითი სასკოლო და პროფესიული პროგრამები ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლებთან. რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნაირანი, თავისუფალი, პროფესიონალი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას.

ღირებულებები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის ღირებულებებია:

სამართლიანობა

გუნდურად მუშაობა

პროფესიული ზრდა და განვითარება

მიუკერძოებლობა

ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა

გამჭვირვალობა